საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის

სამინისტრო

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი

თემურ გოგიძე

ცოფი

სამახსოვრო

თბილისი
1998

პასუხისმგებელი გამოცემაზე ს. წერეთელი
რედაქტორი ი. გოჩაშვილი
კომპიუტერული დაკაბადონება ა. პროსნაკოვი

მომზადებულია მოსახლეობის სამედიცინო-პროფილაქტიკური განათლების ეროვნული ცენტრის მიერ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის დაკვეთით.

დაბეჭდილია ოფსეტური ბეჭდვის სექტორში

ტირაჟი 2000

მისამართი:
380002, თბილისი, დ. აღმაშენებლის, 60
ტელეფონი: (8832) 955826, 968567

ცოფი და მისი გამომწვევი

ცოფი მწვავე ინფექციური დაავადებაა. მას ბერძნულად «ჰიდროფობიას» უწოდებენ, რაც «წყლისადმი შიშს» ნიშნავს. ცოფი წარმოიშობა ნაკბენი ჭრილობის შედეგად. ნაკბენი ჭრილობის თავისებურებაა მისი ცხოველის ნერწყვით დაბინძურება, რომელიც სხვადასხვა მიკრობებთან ერთად, შესაძლებელია ცოფის გამომწვევ ვირუსსაც შეიცავდეს. საჭიროა, აქვე შევეხოთ ნაკბენი და სხვა ჭრილობებს შორის არსებულ განსხვავებას. ცეცხლსასროლი, ცივი იარაღით მიყენებული ან სხვა ჭრილობებისგან განსხვავებით ნაკბენ ჭრილობას აქვს დაფლეთილ-დაჟეჟილი კიდეები, ხშირად სხვადასხვა ზომის სისხნაჟღენთი. იგი ყოველთვის დაბინძურებულია, რის გამოც მასში სწრაფად ვითარდება რეაქციული ანთებითი პროცესი. ღრმა ნაკბენი ჭრილობების დროს შესაძლებელია ჰემორაგიული (სისხლდენითი) და ტრამვული შოკის განვითარება.

ათასი წლების მანძილზე ცოფის არავითარი პროფილაქტიკური საშუალება არ არსებობდა. ამიტომ ყველა შემთხვევა მომაკვდინებელი იყო. ექიმმა და დიდმა მწერალმა ა. ჩეხოვმა ასე დაახასიათა ცოფი:- «წარმოუდგენელია იმაზე უფრო მტანჯველი და საშინელი დაავადება, ვიდრე წყლის შიშია. პირველად, როცა ცოფიანი კაცი ვნახე, ხუთი დღე დამთხვეულივით დავდიოდი. შევიძულე ძაღლის მოყვარული და ყველა ძაღლი...»

ცოფი დღესაც ითვლება მეტად საშიშ დაავადებად. დაგვიანებული აცრის დროსაც კი ყველა შემთხვევა დაზარალებულის დაღუპვით მთავრდება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად ცოფით 60 ათასზე მეტი კაცი იღუპება, ცოფის პრობლემა ყველაზე განვითარებულმა ქვეყნებმაც კი ვერ გადაჭრეს.

ამ სენით ადამიანი ავადდება ცოფიანი ცხოველის, ფრინველის ამ მღრღნელის დაკბენით, დაკაწვრით ან დადორბლით. მისი გამომწვევია ნეიროტროპული ვირუსი, რომელიც დაავადებული თბილ სისხლიანი ცხოველის და ადამიანის ნერწყვშია, ზურგისა და თავის ტვინში ბუდობს. ცოფის ინკუბაცური (ფარული) პერიოდი რამდენიმე დღიდან 1 წლამდე, ზოგჯერ მეტხანსაც გრძელდება. მოკლე ინკუბაციური პერიოდი ახასიათებს მძიმე დაკბენას სახეზე, თავზე, ხელებზე და მრავლობით ჭრილობებს. ფარული პერიოდი უფრო ხანმოკლეა ბავშვებში.



ცოფის გამოვლინება ცხოველებში

ცოფით შეიძლება დაავადდეს ყველა თბილსისხლიანი ცხოველი, უფრო ხშირად კი- ძაღლი, კატა, მგელი, მელა, ტურა, მაჩვი, ღორი, დათვი, ლომი, ვეფხვი, კურდღელი, ცხენი, აქლემი, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი საქონელი, აგრეთვე ღამურა, ვირთხა, თაგვი, ზაზუნა, მაგრამ ყველაზე მეტად ცოფს ავრცელებს ძაღლი, კატა, მგელი და მელა.

დაავადების დასაწყისში ძაღლი, რომელიც 10- დან 9 შემთხვევაში ინფექციის წყაროა, იცვლის ქცევას, უმიზნოდ დაბორიალებს, უმიზეზოდ ყეფს, იფხაჭნის და იკბენს ნაკბენ ადგილს; არ ჭამს, არ სვამს, ღრღნის და ყლაპავს ნაფოტს, ჩვარს, ლურსმანს, ქვას, და სხვა საგანს; ხშირად ელაქუცება პატრონს; იმალება ბნელში; ხდება აღგზნებული, თუ დაბმულია, ცდილობს აიწყვიტოს და გაიქცეს, გაირბინოს დიდ მანძილზე; უმიზეზოდ თავს ესხმის და კბენს ცხოველს, ფრინველს, ადამიანს, პატრონსაც კი; რამდენიმე დღის შემდეგ უვითარდება დამბლის ნიშნები, ყეფს ხრინწიანი ხმით, ჩამოსდის დორბლი, უვარდება კუდი, ბარბაცით მიათრევს კიდურებს, უჭირს სუნთქვა, იქცევა და კვდება.

ცოფის გამოვლინება ადამიანში

ცოფით დაავადების პირველი ნიშანია ქავილი ხანგრძლივი, მწვავე ტკივილი ნაკბენ ადგილზე; ნაწიბურზე აღენიშნება შეწითლება, შეშუპება, რევმატული ხასიათის ტკივილი, დისპეპსიური (საჭმლის მონელების მოშლა) მოვლენები. შემდეგ იწყება აღგზნების პერიოდი: ავადმყოფი განსაკუთრებით მგრძნობიარეა წყლისადმი- მის დანახვაზე კი სახე ემანჭება შიშისა და ტანჯვისაგან. ემართება ხახისა და ხორხის კუნთების ძლიერი სპაზმი. ავადმყოფი ხდება აგრესიული, ამტვრევს ყველაფერს, რაზეც კი ხელი მიუწვედება, თავს ურტყამს კედელზე, ბოდავს, უხვად გამოყოფს ნერწყვს. აგზნებას მოსდევს დამბლა, რომელიც ქვემო კიდურებიდან იწყება და მთავრდება გულისა და სუნთქვის ფუნქციის მოშლით, რასაც ავადმყოფის სიკვდილი მოსდევს.

ცოფის თავიდან აცილება

ცოფის პროფილაქტიკა უპირველეს ყოვლისა გულისხმობს: 1. ნაკბენი ჭრილობის სწორად დამუშავებას; 2. დაკბენილი ადამიანის დროულად მიმართვას ქირურგ- რაბიოლოგთან; 3 ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) აცრების დროულად და კვალიფიციურად ჩატარებას.

ნაკბენი ჭრილობა მუშავდება საპნიანი წყლის ჭავლით, რაც გულისხმობს ჭრილობის კარგად მობანვას, ჭრილობის ასეთი დამუშავება ახანგრძლივებს ცოფის ფარულ პერიოდს და ზრდის სპეციფიკური მკურნალობის ეფექტს. ჭრილობა არ უნდა გაიკეროს 3 დღის განმავლობაში განსაკუთრებული სასიცოცხლო ჩვენების გარდა, რადგან მისმა გაკერვამ შესაძლოა, გამოიწვიოს ვირუსის მოთესვა. დაუშვებელია ჭრილობის ამოწუწვნა.

დაკბენილმა, ჭრილობის დამუშავებისთანავე უნდა მიმართოს ქირურგ-რაბიოლოგს, რომელიც განსაზღვრავს დაზარალებულის სწორ და ოპერატიულ მკურნალობას და საჭიროების შემთხვევში, გაგზავნის მას ანტირაბიულ სამედიცინო დახმარების ცენტრში ცოფის საწინააღმდეგო აცრებისათვის.

გახსოვდეთ: 1. აცრების დროს და მათი დამთავრების შემდეგ 6 თვის განმავლობაში დაუშვებელია მაგარი სასმელების მიღება, ლუდისაც კი; 2. ერიდეთ გადაღლას, გაცივებას, ზედმეტად ჩაფუთვნას; 3. აუცილებელია კანის ჰიგიენის დაცვა; 4. ცხოველის კბენის, დაკაწვრის, დადორბვლის შემდეგ, თუნდაც ცხოველი ჯანმრთელი გეგონოთ, აუცილებელია ექიმთან მისვლა და მისი რჩევა-დრიგების შესრულება, რადგან დავადების ფარული პერიოდის უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში ცოფის ვირუსი უკვე ნერწყვშია და არაა გამორიცხული, რომ ერთი შეხედვით ჯანმრთელი ცხოველი დაავადებული აღმოჩნდეს.

ცოფის თავიდან აცილებისათვის საჭიროა აგრეთვე შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. შინაური ძაღლების მოვლა-პატრონობის წესების მკაცრად დაცვა; 2. მათთვის ყოველწლიურად პროფილაქტიკური აცრების ჩატარება; 3. უპატრონო ძაღლებისა და კატების სისტემატიურად დჭერა; 4. ცოფის ეპიზოოტის (ცხოველთა შორის გადამდები სენის ფართოდ გავრცელება) ბუნებრივი კერების მოსპობა; 5. ცოფის დროულად გამოცნობა ლაბორატორიული გამოკვლევებით; 6. ინფექციის კერების გაუსნებოვანების ღონისძიებათა გატარება; 7. ცოფის საწინააღმდეგო პროპაგანდის გაფართოება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სამედიცინო-პროფილაქტიკური განათლების ლიტერატურის (სამახსოვრო, ბუკლეტი, ბროშურა და სხვ.) გამოცემით. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, აუცილებელია აგრეთვე ყველა სასწავლო დაწესებელებების პროგრამებში შეიტანონ თ. გოგიძის სახელმძღვანელო «ნაკბენ ჭრილობათა მკურნალობა ბავშვებში»- (გამომცემლობა «საქართველო» 1993 წ.)

რა ღონისძიებებეს ატარებს სახელმწიფო ცოფის საწინააღმდეგოდ

1996 წლეს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ მიიღო და დაამტკიცა ცოფის საწინააღმდეგო სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიხედვით ჩამოყალიბდა ცოფთან ბრძოლის ორგანიზებული სისტემა.

1996 წელს გამოიცა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანება -»ცოფთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ». თბილისის ბავშვთა მე-2 კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე შეიქმნა ანტირაბიული სამედიცინო დახმარების ცენტრი, რომელსაც საგულისხმო დახმარებას უწევს ჯანდაცვის სამინისტრო. ხოლო 1997 წლის 20 იანვარს გამოქვეყნდა პრეზიდენტის ბრძანებულება -»ცოფის პროფილქტიკის გაძლიერების შესახებ».

საქართველოში ცოფთან ბრძოლის სამედიცინო სამსახური ყოველთვის იდგა მოწოდების სიმაღლეზე, რის შედეგად, უკანასკნელ 10 წლის მანძილზე 200-ზე მეტ განწირულს შეუნარჩუნეს სიცოცხლე და ჯანმრთელობა.